# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-894

13/09/2019 ქ. თბილისი

**„ქ. დუშეთის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ”**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს „ქ. დუშეთის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N94 (11.09.2019წ.);
2. შპს „საქართველოს გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N94 (11.09.2019წ.) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ქ. დუშეთის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი